№ 20 იანვარი 28, ოთხშაბათი 1887 იანვარი 28, ოთხშაბათი № 20

ივერია

გაზეთი ღირს			
თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	8 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და ყოვლის განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდეკელის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მალაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

ქართული თეატრი

დღეს, 28 იანვარს,

ბენეფისი ქ. საფაროვა-აბაშიძისა

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად:

თამარ-ცბიერი

ისტორიული – დრამატიული პოემა 4 მოქმედებად, თ. აკ. წერეთლისა.

მეჯლისი იტალიელებით

ოპერეტტა ერთს მოქმედებად, ოფენბახისა.

მოთამაშენი: ქქ. საფ-აბაშიძისა, ანდრონიკოვისა, თამაროვისა; ბბ. აბაშიძე, ალექსიევ-მესხიევი, აწყურელი, ცაგარელი; და სხვ.

დასაწყისი 7½ საათზე

იჯარადარი

ონანოვის ქარვასლისა— წინად ყორხმაზის და ეხლა ჰარუნსარქისოვების ქარვასლისა, მეორე გილდის ვაჭარი გარსევან რატიანი ამით აუწყებს პატივცემულ ვაჭრებს, რომელნიც ამ ქარვასლაში ჩამოხდებიან ხოლმე, შემდეგს: რადგან ამა წლიდამ აღკრძალულ იქმნა უბილეთო მოვაჭრეების მოსვლა ტფილისში, ამისათვის სთხოვს ყველას, თავისი საბუთები იქონიონ.

(3—1) მოიჯარადრე გარსევან რატიანი

ტფილისი, 27 იანვარი

ინგლისის სამინისტრომ ხმა პატარა დაიმდაბლა და ისეთის რიხით აღარ ჰლაპარაკობს საგარეო პოლიტიკის საქმეთა მდინარეობაზედ. მარკიზი სალუსბერი, რომლის დაუძინებელს მოქმედებას ზოგიერთნი აბრალებენ, რომ ბოლგარია აქამდე ურჩობს, თავის-თავს ვერა ჰგრძნობს კარგს გუნებაზედ. მისი სითამამე კარგა საკმაოდ დასცხრა, როცა ლორდი ჩერჩილი დაეთხოვა სამინისტროსა, გადგა და ეგრედ წოდებულს „ნეო-კონსერვატორებს“ მოთავედ გაუხდა. ამის გამოსვლამ სამინისტროდამ სხვა ღრუბელიც მიაყენა სალუსბერის სამინისტროს. გლადსტონის დასმა და რადიკალთ-დისიდენტების მოთავემ ჩამბერლენმა ერთმანეთს მოლაპარაკება დაუწყეს შერიგებაზედ და ბევრნიც იმედოვნებენ, რომ ეს ნაწილი ლიბერალებისა კვლავ მიემხრობა გლადსტონსაო, ლიბერალთა დასი გლადსტონის მოძღვრებისა კვლავ გაძლიერდება და, ვინ იცის, იქნება დაამხოს კიდეცა სალუსბერის სამინისტროო. თვითონ ინგლისის ერმაც, რომელმაც უკანასკნელ არჩევანში გლადსტონის მოძღვრება და პოლიტიკა დაიწუნა, ეხლა, როგორცა სჩანს, სხვა ფრივ აახილა თვალი და გლადსტონის პოლიტიკა დღე და დღე მომხრეებსა ჰშოულობს. ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ როცა ლორდ ჩერჩილი, რომელიც ფინანსთა მინისტრად იყო სალუსბერის სამინისტროში, გამოვიდა სამინისტროდამ, სალუსბერიმ ბევრის აქედ-იქით მეცადინეობის შემდეგ ძლივს იპოვა ახალი მინისტრი ლორდ ჩერჩილის სამაგიეროდ. ახალი მინისტრი გოშენი გლადსტონისაგან გამდგარ ლიბერალთა დასის კაცია. ინგლისის წესით ყოველი მინისტრი უსათუოდ დეპუტატადაც უნდა იყოს ამორჩეული პარლამენტში. უამისოდ მინისტრად ყოფნა შეუძლებელია. რადგანაც ახლად დანიშნული მინისტრი გოშენი დეპუტატად არ ირიცხებოდა, ამის გამო საჭიროებამ, ანუ უკეთ ვსთქვათ, საკონსტიტუციო წესმა მოითხოვა, რომ გოშენს კენჭი ეყარა და სადმე ამორჩეულიყო. სწორედ ამ დროს ქალაქს ლივერპულს დეპუტატი აკლდა პარლამენტში. გოშენმა აიღო და თავისი კანდიდატობა დეპუტატობისა აქ წამოაყენა და აქ გაიხადა საარჩევნოდ თავი. აქ გოშენმა და სალუსბერიმ მით უფრო დიდის იმედით გაჰბედეს არჩევანი, რომ ლივერპულმა ამ ბოლოს საზოგადო არჩევანის დროს კონსერვატორთა დასის კაცი ამოირჩივა თავის წარმომადგენლად პარლამენტში და ეგონათ, რომ ეხლაც ესე მოხდებაო. გლადსტონის მომხრეებმა თავისი კაცი დაუპირისპირეს გოშენსა და გოშენი დამარცხდა: გლადსტონის მომხრემ შვიდის კენჭით აჯობა. შეხტა და შემოტრიალდა სალუსბერი და მისნი მომხრენი. ბევრი სიმრუდე და ურიგობა შესწამეს ამ არჩევანსა, უნდოდათ როგორმე გაეუქმებინათ და ახალი არჩევანი მოეხდინათ. ბევრი იოსტატეს, მაგრამ საქმე რომ გასინჯეს, ვერაფერი უწესობა ვერ დამტკიცდა და გლადსტონის მომხრე კანონიერად ამორჩეულ დეპუტატად აღიარეს.

ეს ამბავი თუმცა თვალად მცირე რამ არის, მაგრამ თითქმის ყველამ იმის საბუთად მიიღეს, რომ ინგლისის ერმა აზრი იცვალაო და გონება და გული ისევ გლადსტონისაკენ მოიბრუნაო. ეხლა გოშენი ან სამინისტროს უნდა დაეთხოვოს, ან ისეთს საარჩევანო ოლქას წარუდგინოს თვისი კანდიდატობა, რომელიც ცნობილია ვითარცა ერთგული მომხრე კონსერვატორებისა. დღეს საქმე სალუსბერის სამინისტროსი ამაზეა შემდგარი და თუ აქაც თავისი სურვილი კვლავ არ აუხდა, ფეხთა ქვეშ მიწა მოეცლება. თუნდ ეგეც არ იყოს, მაინც და მაინც უქადიან სალუსბერის სამინისტროს, რომ დღე აღსასრულისა მოახლოებულიაო; დღესა თუ ხვალე, საქმე იქამდე მიაღწევს, რომ ან დღევანდელი პარლამენტი უნდა დაითხოვოს და ხელ-ახლად დაეკითხოს ერსაო, ან სალუსბერი თავისის მომხრეებით უნდა გადადგეს და ბურთი და მოედანი გლადსტონს გადულოცოსო. ამბობენ, რომ თუნდაც პარლამენტი დაითხოვონ და ახალი არჩევანები დანიშნონ, მაშინაც იმედი არ არის, რომ სალუსბერის სამინისტრომ გაიმარჯვოს და თავი დაიჭიროს. იმედი აქვთ, რომ ეხლა ინგლისის ერი გლადსტონის მომხრეებს ამოირჩევს საპარლამენტოდაო.

ახალი ამბავი

*** ტფილისში განუზრახავთ ყოველ-თთვიურის ჟურნალის ბეჭდვა. ჟურნალს საკმაოდ ვრცელი პროგრამა ექმნებაო. გარდა პოლიტიკისა სხვა ყოველა ჩვეულებრივი განყოფილებათაგანი იქმნება შიგ მოთავსებული: სალიტერატურო, საპედაგოგიო, სამეცნიერო და საისტორიოვო. ამას გარდა დამატებად დაიბეჭდება ხოლმე ძველი საუკეთესო ქართველ მწერალთა ნაწერებიო. თითო თთვეში ჟურნალი ათ-ათ საბეჭდავ თაბახიან წიგნად გამოვაო. ამ მოკლე ხანში წარუდგენენ მთავრობას ქაღალდს და ბეჭდვის ნებასა სთხოვენო.

*** დიდს გაჭირებაში არიან ამ ჟამად მთა-წმინდელები. აღმართებში საშინელი ყინულები ძევს. არც ეტლს, არც ურემს არ შეუძლიან ამ აღმართებში ასვლა. ფაეტონი ჩერდება ლაბარატორიის ქუჩაზე და იქიდამ კაცი იძულებულია ფეხით აიდეს თავის სახლამდე და, თუ ბარგი რამ აქვს, ზურგით აიტანოს. ვისაც შეშა აქვს სასყიდელი, ის ხომ უარესს გაჭირებაშია: ხარები ვერას გზით ფეხს ვერ იკიდებენ ყინულზე და ლაბარატორიის ქუჩის ზემოდ ველარ ააქვთ შეშის ურემი.

*** ტფილისის მაზრიდამ გვწერენ, რომ სოფ. შინდისში 24 იანვარს საბძლებს ცეცხლი გაუჩნდა და ოთხი ბზით სავსე საბძელი სულ გადაიწვაო. ცეცხლი წაეკიდა შუა-ღამისას ერთს განაპირა საბძელს. იმ დროს ისეთი ქარი ჰქროდა, რომ იქიდამ სხვა საბძლებსაც მოედო და თითქმის სახლებსაც სწვდებოდაო. ხალხმა მალე შეიტყო ეს უბედურება, დაფაცურდა და მეორე დღეს შუა-დღისას ძლივს თოვლით ჩააქროვო. თუ მარჯვედ არ მოქცეულიყო ხალხი და სხვა სოფლებიდამაც არ მოეშველებინა კაცები ტაბახმელის ურიადნიკს ფიდო ალბორიშვილს, მთელი სოფელი გადა-

ფელეტონი

თავადი იერონიმე

(სურათი გაბათილებულის კაცისა)

III

(დასასრული *)

აგერ ოცი წელიწადია, რაც იერონიმე დაბრუნდა თავის ქვეყანაში. იგი ვარშავაში მყოფობის დროს — ამას არც თვითონ ჰმალავდა, —გამობრძმედდა, გამოიძეწკა, დახელოვნდა; ადამიანთა კვნესა მისთვის სულის შვება იყო, ხოლო სულის-შვება ადამიანთა მისთვის კვნესა. მისი სიცოცხლე, ზრუნვა და ცდა სულ იმაზე იყო მიმართული, თუ ვით უკეთ მოეხერხებინა ადამიანთა სულის დალუპვა ათას გვარის მანქანებითა. ცოლ-შვილმა იგი მიატოვა. თუმცა იერონიმე თითქოს კვეხნით ამბობდა, რომ მოვშორდი «ცეცხლსა და ნავთსაო», მაგრამ ხალხი კი ამბობდა, რომ თვით იერონიმე ბრძანდებოდა „ცეცხლ-ნავთი“ თავის ცოლ-შვილისათვისაო და ამიტომ მიატოვესო. ასე იყო თუ ისე, იერონიმემ დღეს აქნობამდე შეიკედლა ვინმე სალომე, რომელსაც „კნეინად“ უწოდებდა. იერონიმე ახალის ხილივით ყველგან და ყველასთან მიღებული იყო, თაიგულივით შესტრფოდნენ; მაგრამ მალე იგემეს მისი ნაყოფი და შემოეცალნენ. შერჩა მეგობრად რამდენიმე თავისი კბილის-კაცი; უფრო მეგობრობდა თავისი გვარის კაცი ია ლუარსაბიძე. ნათესავები, ნაცნობები, დიდი და პატარა, თავადი თუ აზნაური, ყმაწვილი თუ ბერიკაცი—ყველა ერიდებოდა, პირს არიდებდა, დალაპარაკება ეზიზღებოდა. იერონიმე ბრაზდებოდა, გული სისხლით ევსებოდა, მაგრამ ულონობისა-გამო ველარ ჰპოულობდა მსხვერპლსა, რომ დაგუბებული სისხლნაღველი იმაზედ დაენთხია. გულში ჩახვეულს ადამიანთა სიძულვარეს, მოგროვებულს დარდს და ნაღველსა მხოლოდ იასთან დაანთხევდა და მით გულს შეღავათს მისცემდა ხოლმე.

— ცუდი დრო დაგვიდგა, ჩემო საყვარელო იავ, ცუდი! ეტყოდა ხოლმე უსასო-ქმნილი იერონიმე თავის ქანქარით და ტუჩებს ღმეჭით. ჰმ!... ჰმ!... აქაურობას ადამიანი ველარ იცნობს, რომ მამაგონდება ხოლმე ის ნეტარი უწინდელი დრო, დრო ბატონ-ყმობისა, თითქო გულში ნაღვერდალი ჩააყარესო, ისე დამეთუთქება ხოლმე. აბა, იავ, შეადარე ეხლანდელი ყოფა-ცხოვრება ადრინდელსა? უკუღმა არ დატრიალდა წაღმა მაბრუნავი დრო-ჟამი? ეჰ!... „ეჰ, დრონი, დრონი, ნაქებნი მტკბარად, წარვიდნენ, განჰქრნენ, სიზმარებრ ჩქარა“, ჩაიმღერა იერონიმემ, გამოუშვა ჩიბუხიდამ ბოლი და კორიანტელი ააყენა.

იაც ბრწყინვალე თავს ჩაჰკიდებდა ხოლმე ყაბულის ნიშნადა და ნუგეშინის საცემლად ეტყოდა გაბოროტებულს მეგობარსა:

— რა გაეწყობა, იერონიმე, რა! ყველამ ჩვენ დაგვიბრიყვა, ყველამა. გლეხიც-კი ჩვენზე დიდი კაცი გამხდარა: ფილტვივით თავს მოგვექცა.

— ეს სულ იმისი ბრალია, რომ აქაურობას მუხრუჭი აკლია, დაიწყობდა ხოლმე იერონიმე. მე ბევრი ქვეყნები მამივლია, მაგრამ ასეთი თავ-გასული ხალხი არსად მინახავს; თუ მინახავს და ყოფილა თავ-გასულობა, —მუხრუჭი და შაბაშ! გათავდა!.. ძველად როგორ შეეძლო გლეხსა, გინა აზნაურს, რო ქუდი არ მოეხადნა თავადიშვილისათვისა, სულ ტყავს ავაძრობდით: ერთხელ—მაშინ ვიქნებოდი სულ ოც-და-ხუთისა, თუ ოც-და-ექვსის წლის ჭაბუკი,—ეს იყო, მგონი, ათას რვა-ას ორმოცში, ქორ-მეძებრებით და მთლად ჩემის ამალით დავქროდი ჭალა-მინდვრებში სანადიროდ. ამ დროს შემოგვეყარა ერთი გლეხი ცხენითა. წარმოიდგინეთ, მაშინაც კი, მაშინაც თავხედობდნენ. დიახ, შემოგვეყარა, და წარმოიდგინე, ყმაწვილო, ცხენიდამ არ იკადრა ჩამოხტომა, რომ სალამი ისე მოეცა. გაგიხარიან მე იმას დღე დავაყენე: მიუტიე ძაღლები და გავაჩერებინე; წამოურბინე, ავკარ ცხენს ლაგამი და ცხენიან-კაციანად გადავქელე, მერე მივდექ მათრახითა და გველივით გავაპრელე; შევაკოჭინე ბიჭებსა, ჩამოვახლეჩინე ოლეზე ტოტები და სულ იმ ეკლიანის ტოტებით დედის ხსენიც კი ამოვარწყევინე. რომ შეიბნიდა, რუს პირას დავაგდებინე. სიკვდილით კი არ მოკვდა, მაგრამ მთელი თავისი სიცოცხლე სულ იკვნესა და იავადა... ეხლა-ღა? რას მიქვიან, ბატონო, ქუდის მოხდით სალამი! რო ელაპარაკები, პირი სულ სამარისაკენ მიაქვთ, სულ გეტუქსუნებიან...

— ეგენი რა გაამტყუნოთ, ჩემო იერონიმე! ჩვენი ღვიძლი შვილები უარესნი დახდნენ: ასწავლი, ბატონო, გამოვა და უწინ გლეხუკას გადახვევს ხელსა. ისევ ჩვენი, ბრალია, ჩვენი... რა საჭიროა, ბატონო, ჩვენი თავად-აზნაურობა სულ ი გლუხარიჩმა დალუპა და ცეცხლზე ნავთი დაგვისხა; სულ ჩვენ დაგვცინოდა და გვატუტუცებდა; ი თეატრის წიგნებში სულ ერთიან შიგ ალუფხა თავადი და აზნაური, სომეხი და თათარი, გლეხი და ურია და ვინ იცის, კიდევ რა გინდა რა. ერთმანერთს შეალაზლანდარავა: თავადი მოსამსახურეს ბრატეცას ეძახის და თავს ევლება.

— მამაშენს დაადგეს გულზე ნათელი მაგ თქმისათვის! სწორედ მეც მანდა ვარ, ჰო, სწორედ მანდა! გიორ-

---

*) იხ. „ივერია“ № 19

იწვებოდა იმ უწყალო ადგილას ისეთს საშინელს ქარშიო.

⁂ სიღნაღიდამ გვწერენ: 14-ს იანვარს წმ. ნინოს მონასტერში ყოვლად-სამღვდელო კახეთის ეპისკოპოსი ბესარიონ ალავერდელი ბძანდებოდა მწირველი. ამ გარემოებამ აუარებელი ხალხი შეჰყარა სადღესასწაულოდ წმ. ნინოს ტაძარში.

წირვაზე მ. ბეგიევმა წარმოსთქვა მცირე სიტყვა წმ. ნინოს ცხოვრებაზე. 15-ს იანვარს ეპისკოპოსი თელავს წაბრძანდა.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ახალ-გაზდა თილეველები, რომელთაც შემოჰკვდომიათ ებრაელი ქართლში, სოფელ ძეილეთს ახლოს, ტომით ოსები ყოფილან. ამბობენ, რომ თილეველებს ებრაელი განზრახ მოუკლავთ და მკვლელების აზრი ებრაელის გაცარცვა თუ იყოვო.

⁂ ქართლშივე ამ ერთის კვირის წინად საშინელს ქარსა და თოვლის ბუქს დაურჩევია ერთი ძლევ-ჯვრელი კაცი, რომელიც დირბიდამ თავის სოფელში მიდიოდა თურმე. ამ სოფლებს შუა სულ ორისა და სამის ვერსის მანძილია, მაგრამ იმ დროს ისეთი ჯოჯოხეთი ამინდი იდგა, რომ კაცმა გზა ველარ გაიგნო და დაირჩოვო. საცოდავი გლეხ-კაცი მეორე დღესვე იპოვეს, მაგრამ სანამ სამაზრო მთავრობა შეამოწმებდა სიკვდილის მიზეზსა, მანამ შვიდი დღე გავიდა და მიცვალებულს მერვე დღეს ძლივს ეღირსა დასაფლავებაო.

⁂ ერთი ასეთი საცოდაობა მომხდარა კიდევ მანგლისისაკენ. აქეთკენ დიდი თოვლი მოვიდა და საშინელი ყინვებიც დაიჭირაო, სწერენ გაზ. „კავკაზს.“ გზები სულ გადასილა თოვლმაო. ფოსტა რიგიანად ველარ დადისო. ამას წინად სოფელს დრეს ახლო იპოვნეს გაყინული ქართველი გლეხ-კაცი, რომელსაც მთელი ღამე თოვლში გაეტარებინა, ცის-ქვეშაო. გაყინული კაცი ველარ მოასულიერეს და რამდენსამე საათს უკან გარდაიცვალაო. ამ დიდ-თოვლიანობას სოფ. პრიუტში ჩამოვარდა უზარ-მაზარი დათვიო, რომელიც მალე მოჰკლეს გლეხ-კაცებმაო.

⁂ გაზ. „მწყემსი“ ამბობს, რომ ბ-ნმა ფილიმონ ქორიძემ უკვე გაათავა საეკკლესიო გალობის გადაღება ნოტებზეო. 30 იანვრისათვის დანიშნულია კრება გალობის აღმადგენელის კამიტეტისა. კამიტეტი მოიწვევს მცოდნე კაცებს და იმათის შემწეობით შეამოწმებს ბ-ნ ქორიძის ნოტებსაო.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელის გაზეთის მეთაურში მეოთხე სვეტზე შეცდომით სწერია: **მანისტრები ისე დამოუკიდებელნი არ არიან...** უნდა იყოს: **მანისტრები ისე დამოუკიდებელნი არიან** და სხვა.

* * *

ტფილისის ქალაქის საბჭო

(26 იანვრის კრება)

კრება გაიმართა 8 საათზედ. დაესწრო 60 ხმოსანი. გარეშე მაყურებელნიც ბლომად დაესწრნენ, განსაკუთრებით მანდილოსნები ამ კრებაზედ კეთილ-ინება მიბრძანება ბარონ ნიკოლაიმ, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, საპატიო ხმოსანია ტფილისის საბჭოსი.

კრებას მოახსენეს წარსულის, 19 იანვრის, პროტოკოლები; ზოგიერთ ხმოსანთა შეცდომილება იპოვეს და ამათის შენიშვნების მიხედვით, შესწორებულ იქმნა. ამის შემდეგ ქალაქის თავმა მოახსენა კრებას, რომ თუმცა დღევანდელს კრებისათვის დანიშნულ საგანთა შორის არ არის მოყვანილი, მაგრამ მაინც საჩქაროდ განსახილველია ერთი საგანიო. კრებას მოხსენდა ბ-ნის გუბერნატორის მიერ გამოგზავნილი ქაღალდი მასზედ, რომ ამას წინად რკინის გზის სადგურთან ცოფიან ძაღლებს ორი ყმაწვილი კაცი დაუგლეჯიაო. ამისათვის ბ-ნი გუბერნატორი წინადადებას აძლევს ქალაქს, თუ შესაძლებელად სცნოს, რაიმე შემწეობა აღმოუჩინონ ამ საცოდავებს და ოდესაში წასვლა შეაძლებინონ, რომ იქ „პასტერის“ წესზედ გამართულს სამკურნალოში იწამლონო. საბჭომ ერთ-ხმად გადასწყვიტა, მიეცეს ორსავეს ოც-და-ათ-ათი თუმანი სახარჯოდ. ზოგიერთნი ხმოსანთაგანნი ამბობდნენ, რომ ეს ფული საკმარისი არ იქნებაო, მაგრამ ხმოსნებმა **ქუჩარიანცმა**, **გლაჰტცემ** და **ანანოვმა** განმარტეს, რომ ეს ფული სრულიად საკმარისი არისო, რადგან უმთავრესი ხარჯი წასვლა-მოსვლა არის და იქ ცხოვრებაო; წამლობა მხოლოდ რამდენიმე დღე თუა საჭიროვო. ამიტომაც ოც-და-ათ თუმანს არ აღემატება ეს ხარჯი.

ბ-ნმა **ანანოვმა** ის აზრი წარმოსთქვა, რომ ამისთანა შემთხვევანი (ცოფიანის ძაღლებისაგან დაკოდება) შესაძლებელია გახშირდეს ქალაქშიო. ამისათვის ითხოვა ეიხელ-მძღვანელოთ სამინისტროსაგან გამოცემულის წესდებითაო და ძაღლების ალიკაპები შემოეღოთო.

ბ-ნმა **ბებუთოვმა** წინადადება შემოიტანა ამ საგნის შესახებ, რომ გამგეობამ მისწეროს ოდესის ქალაქის თავს წერილი და სთხოვოს, შემწეობა აღმოუჩინონ ამ უცხო პირთ ქალაქში ჩასვლის შემდეგ.

ბ-ნის **მუტაფოვის** წინადადებით, ამ ავად-მყოფებს ხელში მიეცემათ ათი თუმანი, დანარჩენი ოდესაში იქმნება გაგზავნილი მათ სახელობაზედ. ეს იმიტომ, რომ შეიძლება ახალ-გაზდა კაცებს ამდენი ფული შემოეხარჯოთ ხელში და რომ ესე არ მოხდეს,— ესეთი წინადადება ბ-ნის ხმოსნისა შეწყნარებულ იქმნა.

ამის შემდეგ ხმოსანმა თ-დმა მიხ. **მაჩაბელმა**, ქალაქის თავის წინადადებით, განუმარტა კრებას თავის მოხსენება, რომელიც ამ დღის კრებაზედ უნდა გარჩეულიყო. თ-დი მაჩაბელი იმ აზრისა იყო, რომ იმ კამისიებში, რომელთა წევრთ გასამრჯელო ეძლევათ ქალაქის კასიდამა, სასურველია ხმოსანთა რიცხვიდგან არ ამოირჩევოდნენო.

თ-დ [illegible] აზრს ეთანხმა თ-დი **ბებუთოვი** და ბ-ნი **დინგელშტეტი**, მაგრამ ზოგიერთები წინააღმდეგნი იყვნენ ამ აზრისა. ზოგიერთები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ «საქალაქო წესდების» ძალით, საბჭოს უფლება არა აქვს თ-დის მაჩაბლის აზრის თანახმად განაჩენი დაადგინოსო. ამ აზრისანი იყვნენ ბ-ნნი **იზმაილოვი**, მ. **თამამშოვი** და **დოლუხანოვი**. რადგან საბჭომ ეს საგანი, „წესდების“ წინააღმდეგად იცნა, ქალაქის თავმა ამის გარჩევა საბჭოში აღარ მოისურვა. ამ გვარად ეს მოხსენება თ-დის მაჩაბლისა შეწყნარებულ არ იქმნა.

ამის შემდეგ კრება შეუდგა, ქალაქის თავის წინადადებით, სასესხებელის კასის დირექტორისა და ქალაქის სასწავლებელთა კამიტეტის არჩევანს. ჯერ ბარათებით იყვნენ დასახელებულნი: ხუთი კაცი დირექტორის ადგილას და 30 კამიტეტის წევრებად. ამათგან ოთხმა დირექტორობაზედ ჩამოიტარა კენჭი და ცხრა კაცმა კამიტეტის წევრობაზედ. პირველთაგანი იყვნენ: ბ-ნი ყაზარიანცი, რომელმაც მიიღო 26 თეთრი და 32 შავი, ბბ-ნნი წურინოვი 25—32, ყორღანოვი, სოლ. გრ—ძე 24—34 და ზარაფოვი 13—45; ასე რომ დირექტორად არავინ არ იქმნა არჩეული. ახალი არჩევანი შემდეგის კრებისათვის გადასდეს. კრებამ გადაწყვიტა სასესხებელის კასის დირექტორი ორის წლის ვადით აირჩიოს

სასწავლებელთა კამიტეტის წევრებად არჩეულ იქმნენ: ბბ-ნნი: ა) **იზმაილოვი** (54—3), ბ) **ქვანგულოვი** (52—5), გ) **იგანენკო** (52—5), დ) **ბებუთოვი** (48—9), ე) **კაიდანოვი** (48—9), ვ) **იოანესხანი** (44—14), ზ) **დინგელშტეტი** (39—18), ჱ) **მელიქ-ბეგლაროვი** (37—20); კანდიდატად არჩეულ იქმნა ბ-ნი გლ. **მაქალაძე** (34—23).

კრება გათავდა ღამის 11 საათზედ.

* * *

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ოზურგეთი, 15 იანვარს. გურიაში 6 იანვრამდის ხმელი ზამთარი იდგა. თოვლის ჭაჭანება არსად ყოფილა ახალ-წლამდის, მხოლოდ აჭარის მთები კი დათოვლილი იყო. ძველის წლის მიწურულში ზენა-ქარი, ეს ძვირი სტუმარი გურიისა, შეუწყნარებლად ჰქროდა. წარსულს წელიწადს ჩვენ, გურულებისათვის, არაფერი სიკეთე დაუყრია: სხვა-და-სხვა სნეულებამ მუსრი გაავლო ხალხს; მოსავალი ჭირნახულისა სუსტი იყო; გზები საფოსტო, თუ სასოფლო გაუკეთებელი და დაღრო-ჩოღროვებული. ნატანების გზა, რომელიც რამდენსამე წელს კეთდებოდა, წარსულ წელს მზად იყო, მაგრამ მგონია ისევ დაძველდეს და საფოსტო გზად კი მაინც ვერ გადიქცეს. ეგებ ამ ახალმა წელიწადმა დაგვიხსნას უგზოობისა და უხიდობისაგან. ჯერ-ჯერობით კი ახალ-წელიწადს ჩვენთვის დიდის თოვლის მეტი არაფერი მოუტანია. ექვსს იანვარს დაიწყო აქ თოვლა და ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა. ამ დიდს თოვლს ერთს დღეს საშინელი ქარი და ელვა-ქუხილი მოჰყვა. ხალხი ამ თოვლს არ დაჰხედრია მაინც-და-მაინც მწუხარედ: იმის ფიქრით, ამისთანა თოვლიანმა წელიწადმა კარგი მოსავალი იცის. საფოსტო გზა გურიაში ლამის შეიკრას დიდის თოვლის გამო. თოვლის მოსვლის შემდეგ ორჯელ თუ მოვიდა ფოსტა ოზურგეთში სამტრედიიდამ; ეს რამდენიმე დღე მიდის, რომ არაფერი ვიცით ქვეყნიერობისა.

აქაური

* * *

სოფ. სარგვეში (შორაპნის მაზრა) ძირულის სტანციიდგან ძევს აღმოსავლეთით ერთ მშვენიერ მაღალ ადგილას. ეს სოფელი ღმერთს ყოვლის ფრით შეუმკია. სამხრეთით და ჩრდილოეთით ჩამოუდის მდინარე წყლები და ამ წყლებზედ ყოველ სამ-ოთხ კომლს საკუთარი წისქვილები უბრუნავთ. აღმოსავლეთით უძევს ტყიანი მთა და საბალახო. ყოველ მოსახლე კომლს საკუთარი მშვენიერი ცივი წყარო აქვს ეზოში.

ღვინის და ჭირნახულის მოსავალი კარგი იცის. აქაური ღვინო ჩაფი სამ-ოთხ მანათად იყიდება. სამხრეთით უძევს ერთი დიდი თვალ-უწვდომელი სალი კლდე და ამ კლდის ძირში ჩამოდის ერთი პატარა ხევი. კლდეს შუაში გამოქვაბული აქვს, რომლის სიგძე ცხრა საჟენი, სიგანე შვიდი და სიმაღლე-კი ერთი საჟენი იქნება. გამოქვაბულში ოთხი ჭურია. თვითოეულ

გი გლუხარიჩმა დაგვლუპა; მოჰკიდეს თუ არა ხელი იმის წიგნებსა, და ქვეყანა წაირყვნა; ჩვენი შვილები დაგიქდნენ... მეც ე მაგიტომ გავეყარე სწორედ ჩემს ცოლ-შვილსა და ე სალომე შევიკედლე. კარგი რო ღმერთმა ძე არ მომცა, თორემ წარწყმედდა აქაც და იქაც ჩემს სახსენებელსა. მაგრამ არც-რა ქალმა დააშავა: ამ ცისამარა-დღე სულ იმას გაიძახოდა: რას მიქვიან თავადი, აზნაური, გლეხიო; ეს უჯრები მოცლილს ხალხს მოუგონიაო; ჩვენ თუ ერთის კაცისაგან ჩამოვდინარდით, მაშასადამე, ყველანი ერთნი უნდა ვიყვნეთო. ჯანი გავარდნოდა, ამას კიდევ რას ვინაღვლიდი, მაგრამ ულთოობასაც დაადგა და! კაცი ადამ და ევასაგან კი არ ჩამომავლობსო, მაიმუნისაგანაო. ია, გესმის? მაიმუნისაგანაო. რა ძალიან თავი მოგაქვსო, შენც იგივე მაიმუნი გყოლია წინაპარად, როგორიც ე ჩვენს მზვარეულსაო. ბიჭო — შვილო!—შე ოხერ ტიელო, ხელიც იმისკენა და პირიცა, ვისაც არ გესმის,—კაცს სისხლი დამიქცევია, სიბერემდის მიმსახურნია, მთელი ამ სიგძე სიცოცხლე მზვერაობაში გამიტარებია, კაცს პოლკოვნიკობა მიშოვნია, სისხლის ჯერებს გული ველარ მიტევს, და მეუბნებიან — შენ და მზვარეული ერთნი ხართო!?.. იმ დღეს კიდევ ჩემმა ბიძაშვილმა რა მითხრა: შენი ტყავი კარგი სატომრეაო... აი, აგერ ამ სურათზე ვუჩვენე,—მიუთითა იას სურათზე,—მონებს რო ტყავს აძრობენ. მონის წესი და კანონი ეს არი-მეთქი, რო ტყავი უნდა აძრონ-მეთქი. იმან კი, იმ პირ-შავმა, არც აციეა, არც აცხელა და ასე კი მითხრა: „ბიძია, შენი ტყავი ტომრად რა კარგი იქნებოდაო!!“

ეს რომ გაათავა, იერონიმე მიასტერდა იასა, მარცხენა ხელი მუხლზე გადმოიდო და მაგრა ჩაუჭირა ფჩხილები, მარჯვენაში ჩიბუხი შერჩა და იას პასუხს ელოდა.

— როგორც ვატყობ, იერონიმე, საქმეს აღარა ეშველება-რა... ჯანი გავარდეს; ბევრი მიცოცხლნია, ცოტაღა დამშთენია; საფლავში ხომ მამასვენებენ.

— მაშ შენ გგონია, რომ არ მოველება? ამისთანები მინახავს, რომ მოუმშვიდებიათ. მხოლოდ საქმე მუხრუჭია მეთქი, მუხრუჭი!! აი ეხლა მე ძველს ხელობას უნდა მივმართო, მეტი ღონე აღარ არის. ობობასავით აქედ-იქით ქსელები გავაბი და ნახე რამდენს გადმოვატრიალებ კალმახივითა ყმაწვილო, რა ამბები არ არის ხოლმე ჩვენში: იმ დღეს ბაადურიანთას გახლდით, ისე გზად გამოვიარე. შეველი, ქალები «კონჩინას» შაქცევიან. ჩამოვჯექი, ქალები ენა-ტარტალა ხალხია მეთქი და იქნება გავხდე რასმესა მეთქი. არა მკითხავ, რა ვნახე? ამათმა მადლმა, მიიშვირა ხატებზე ხელი, ამათმა,—ვნახოთ, ერთს ქალსა სამ ქალალდთან ვილაცის პარტრეტი ერგო. ბიჭოს, ეს რა ახალი ამბავია? ეს რაღა შემოულიათ-მეთქი?— ეს ორიანის მაგიერიაო; ყვავის ორიანი სადღაც გადაგვეფარა და ამასა ვხმარობთო. აბა ამაზედ მეტი საცინლად აგდება კიდევ იქნება კაცისა! ჰა, ე? რა უგავს ორიანსო-მეთქი? რაღა რა არ უგავსო: ქუდზე კაკარდა — ერთი თვალიო, გულზე მენდალი-მეორეო. გამოვართვი სურათი და, ნუ მიბძანებთ, იოსებ ვარდიძის სურათი კი აღმოსჩნდა: კაცი დამსახურებული, პატიოსანი, მიღებული, ჯვრითა და მენდლით სავსე. არა და! მოხელე-კაცი და ორიანი „კონჩინისა“!? დანდობა აღარ არის, დანდობა... ჩავწერე კონდაკში და ამოვუყავ თავი ჯანდაბის კუჭხეთში და არ ვიცი, საქმე როგორ გაივლის, აი დღესაც ველი ამბავსა ამის თაობაზე .. ამას წინად კიდევ ალექსანდრე გვრიტაული მთელ საზოგადოებაში დამადგა თავსა და მოჰყვა ჩვენს კიცხვასა. რაღაცა სიტყვამ მოიტანა, რომაო.., ჰო, ბატონ-ყმობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი... „ზიზლით ვიგონებო იმ დროსაო,—დაიწყო ალექსანდრემა,—როცა მამაჩემმაო ერთი კომლი კაცი აჰყარა თავის მამა-პაპეულის ბინიდამა და ერთს მწევარში მისცა ვილაც იმერელსაო.“ გაშალა, ბატონო, ხელები და ერთი სხვა ნაირის ალტაცებით მოჰრთო ლაპარაკი: „ყმაწვილებო, წარმოიდგინეთ ფეხ-შიშველა, კან-დამწვარი, კისერ-ჩაჟანგებული გლეხი-ადამიანიო, მოღუნული, შუბლ-დალარულიო; ცოლს ნარმის ნახევით პირი აეკრა და პაწია გოგო დედას კალთაზე ჩამოჰკიდებიყო. ღმერთო, ეს საზარელი სურათი რა ნაირად ჩამრჩა გულში და ჩამეხატა გონებაშიო. რა დრო იყოვო!“ მე გავცეცხლდი და ვუთხარი, ე მაგისთანა წინააღმდეგს ლაპარაკს თავი დაანებე-მეთქი, თორემ ჯანდაბის კუჭხეთში ამოგიკრავენ თავსა მეთქი.

— ხა, ხა, ხა! აბა ერთი ეცადე, თუ ღმერთი გწამსო, ღრეჭით მიპასუხა.

— ეე, რა გაეწყობოდა, თავ-პირს ხომ ვერ დავალეწდი. ჩავინიშნე, მოვახსენე... რამდენისამე ხანის შემდეგ ასე მიპასუხეს:

— თქვენო ბრწყინვალებავ, აბა რა საკადრისია მაგგვარი მოხსენებაო; რაღას ვიქმოდი, ამოვიძუე კუდი და პირზე კლიტე დავიდე... ეეჰ, ჩემო იავ, უწინ სულ სხვა დრო იყო; ერთი რომ დამეყრანტალებინა, მაშინვე აჩაუდ! გავისტუმრებდით. მე ასეთი საქმე ჩამიდენია: დედისთვის შვილი წამირთმევინებია; შვილი მამკვდარა და დედისათვის ნება არ მიმიცემინებია, რომ ცივს სამარაზე ცხელი ცრემლი დაეფრქვია. ეხლა კი ცხვირს მარიდებენ.

შეხვდებოდა ხოლმე თუ არა იას, მაშინვე ამ გვარს ლაპარაკს გააბამდნენ; სურდათ ქვეყანა მოეტრიალებინათ; იერონიმეს უნდოდა ძველის ხრიკებით ახალს ფონს გასულიყო, მაგრამ აღარც ძალა და აღარც ჭკუა არ ემორჩილებოდა. დრო-ჟამის სუნი ვეღარ აიღო და ამიტომ ჯანდაბის კუჭხეთში ლილა გაუცვდა, გაუხუნდა და მისი ლაპარაკი ქართული ორ-აბაზიანი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურში ჩადის ას-ასი ჩაფი. აქვე არის აგრეთვე ქირნახულისათვის ხაროები. ამ გამოქვაბულში უხსოვარის დროიდგან უნახავთ ქირნახული მტრებისაგან. დღესაც ამ სოფლის მოხუცები აი რა') მოგვითხრობენ ამ გამოქვაბულის გამო:

„ერთ დროს თურმე აქ ცხოვრებდა ერთი აზნაურიშვილი ბერი ჩიკვაიძე, პირველი სარდალი იმერეთის მეფის გიორგისა. პირველ ქრისტიშობის თთვეს, როდესაც მეფე გიორგი წაბრძანებულა სამზღვარ-გარეთ, ლეკის მთავარი ჩამოსულა ჯარით იმერეთში და უეცრად დასცემია თავზედ ბერს ჩიკვაიძეს. ლეკის მთავარს განზრახვა ჰქონია, ჩიკვაიძეს ცოლ-შვილი ტყვედ წაეყვანა, მაგრამ ბერ ჩიკვაიძემ დროზე შეიტყო თურმე და თავის ცოლ-შვილით და მცხოვრებლებით ამ გამოქვაბულ კლდეში შესვლა მოასწრო, სადაც დაიფარა თავი მტრისაგან. ლეკები ორ თთვეს დარჩნენ ამ სოფელში და ეკკლესია და სახლები სულ გადაწვეს. ლეკის მთავარმა ბევრი ხერხი იხმარა, ბერი ჩიკვაიძე ამ კლდიდგან გამოეყვანა, მაგრამ ვერა მოუხერხა-რა. ბოლოს თურმე კლდის ძირში დიდი ცეცხლი აანთეს. ცეცხლის კომლმა ძალიან შეაწუხა ამ კლდეში მყოფნი, მაგრამ ვერც ამით დააკლეს-რა.

ბერი ჩიკვაიძე ეხვეწებოდა თურმე ცრემლით ღმერთს: რომ თუ მტრისაგან დამიფარავ, როგორც გამოვალ აქედამ, მაშინათვე ავაშენებ ამ დამწვარ ეკკლესიის ადგილზედ სხვა ახალ ეკკლესიასაო. ღმერთმა ისმინა ეს თხოვნა. მეფე გიორგი დაბრუნდა თავის სამეფოში, შეკრიბა საკმაო ჯარი და ისე ამოწყვიტა თურმე ლეკის ჯარი, რომ ერთი კაცი აღარ გადარჩენილა ცოცხალი. მაშინ სიგელით უჩუქებია მეფე გიორგის ბერის ჩიკვაიძისათვის დიდი ტყიანი მთა.“

ბერს ჩიკვაიძეს აუსრულებია თავის აღთქმა და აუშენებია აქ ერთი პატარა ეკკლესია. იმ დროს აქ ყოფილა მარტო ხუთი კომლი მოსახლე და ამათთვის, რასაკვირველია, ესეც საკმარისი იყო. დღეს აქ სულ ასი კომლი მოსახლეა გლეხი და აზნაური. ამათთვის ახლა ასეთი პატარა ეკკლესია აღარა კმარა. რამდენჯერმე მე თითონ მისულვარ წირვის მოსასმენად ამ ეკკლესიაში, მაგრამ ისე გამოსულა წირვა, რომ შემოსილი მღვდელი თვალით ვერ დამინახავს და ხატებისათვის სანთელი ვერ ამინთია.

პ. მაჭავარიანი

რუსეთი

— სასწავლო ქანებათა სამინისტროში ამ ჟამად არდგენენ ახალ წესდებას სასულიერო საიჯარადრო მამულების შესახებ. ამ ახალის წესდების ძალით წელს მოემატება იჯარის ფასი სხვათა შორის ჩვენის ამიერ კავკასიის იმ სასულიერო მამულებისაც, რომელიც იჯარით არის გაცემული.

— პეტერბურგში მასულა ორი მდიდარი ინგლისელი, გაიტი და გარისი, და უნდათ დააარსონ საუკეთესო სამკითხველო. ამ სამკითხველოში იქნება ყველა გაზეთი, რომელიც კი იბეჭდება მთელს დედამიწის ზურგზედ. ამას გარდა სამკითხველოს მოუვა ხოლმე თავის კორრესპონდენტებისაგან განსაკუთრებული დეპეშები.

— ქალაქ იაკობშტადტში დაარსდა ამ რამდენისამე ხნის წინად ლუტერანგის სასულიერო სასწავლებელი; ეკკლესია კი არ არის თურმე ამ ქალაქში. მთელი წელიწადი არსებობდა ეს სასწავლებელი, მოგროვდა ვიდრე 70 მგვირდიო. კურლანდიის გუბერნატორმა მხოლოდ შემთხვევით შეიტყო ამ სასწავლებლის ამბავი და მაშინათვე უბრძანა, რომ გამოიძიეთ ამ სასწავლებლის დაარსების საქმეო. გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სკოლას დაარსების ნება მიუცია კურლანდიის სასოფლო სკოლების კამისსიას. რადგანაც ზემოხსენებულ კამისიას აქვს უფლება მარტო სასოფლო სკოლების გამართვისა და არა საქალაქოებისა, ამას გამო კურლანდიის გუბერნატორის ბრძანებით ეს სკოლა ათის დღის განმავლობაში უნდა დაიკეტოსო.

— მთავრობის ბრძანებით, 14 იანვარს მოსკოვში დაუკეტნიათ სტამბა ქ-ბ-ნის გატცუკისა და კარებები და მაშინები დაუბეჭდიათ. მიზეზი ამ დაბეჭდვისა ის არის, რომ «გაზეთი გატცუკი» ორ გვარად თურმე იბეჭდებოდა: ერთი პეტერბურგისა და მოსკოვისათვის, მეორე-კი, რომელშიაც ცენზურისაგან ამოშლილი წერილებიც შიგ იყო ჩართული, მთლად იბეჭდებოდა და იგზავნებოდა დაბადა და სოფლადაო.

უცხოეთი

ბოლგარია. გაზ. „Neue Freie Presse“ ამბობს, რომ ბოლგარიის დეპუტატმა კალჩევმა მიიღო თუ არა დარიგებანი სოფიის სარეგენტო მთავრობისაგან, მაშინვე სტამბოლში წავიდაო. ვენელი კორრესპონდენტი „Times“-ისა სწერს ამ გაზეთს: ბოლგარიის დეპუტაციის მოგზაურობის დროს დიდთა სახელმწიფოებთან,—მაგალითებრ, გერმანიაში, გრაფს გერბერტ ბისმარკს ეთქვა ამ დეპუტაციისათვის, ჩვენ თქვენისა და რუსეთის შორის უთანხმოებას ისე ვუყურებდით, როგორც შინაურს საქმესაო. ბერლინში ურჩევიათ, რომ გაზეთებთან ნურავითარს დამოკიდებულებას ნუ იქონიებთ; აქ დეპუტატებს პოლიცია თვალყურს ადევნებდაო. ინგლისში დიდის სიყვარულითა და პატივის-ცემით მიიღეს, მაგრამ ფულის სესხებაზედ კი ხმა არავის ამოუღიაო. მარტო საფრანგეთი დაეხმარა და 2,500,000 მანათი ფული ასესხა ბოლგარიასაო.

— ბერლინის გაზეთები სწერენ: რუსეთი იმასა თხოულობს, რომ სარეგენტო მთავრობამ ბოლგარიისამ თავი დაანებოს სამსახურსაო; ახალი დიდი საერო კრება უნდა მოიწვიონ, რომელსაც ორის კანდიდატის ამორჩევა მიენდობა: ან სამეგრელოს თავად ნიკოლოზზე უნდა ამოირჩიონ და ან ჰერცოგი ლეიჰტენბერგელიო. მინისტრებად ბოლგარიელნი იყვნენ ამორჩეულნი, რუსეთი ამის წინააღმდეგი არ არის, ხოლო სამხედრო მინისტრად-კი რუსეთის გენერალი უნდა იყოსო. ამას გარდა, რუსეთის აზრით, ბოლგარიის ჯარში შეუძლიათ იმსახურონ ეხლანდელ ბოლგარიელ აფიცრებთ, ხოლო მათ გარდა რუსეთის აფიცრებიც უნდა იყვნენო...

— სტოიანოვი ამ ჟამად იმასა ცდილობს თურმე, რომ ცანკოვს აღკვრძალოს ბოლგარიაში დაბრუნებაო.

— სოფიიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Новости“-ს, რომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა ვენგრიაში ცხენებსა ჰყიდულობსო.

საფრანგეთი. გაზ. „Pesther Lloyd“-ის სიტყვით, ამას წინად გენერალ ბულანჟეს გამოუცხადებია: საფრანგეთი ერთის წლის შემდეგ მზად იქნება და მარტოდ-მარტო შეიძლებს გერმანიასთან გამკლავებასა იმ შემთხვევაში, თუ ევროპის მშვიდობიანობა ბოლგარიის გამწვავებულმა საქმემ არ დაარღვიაო...

— გერმანიის გაზეთებს ხმა გაუვრცელებიათ, რომ საფრანგეთს ლიუნევილთან 84,000 ჯარის-კაცი და პინალთან კიდევ 50,000 ჯარის-კაცი ჰყავს დაბანაკებულიო.

— საფრანგეთის მთავრობას პირობა შეუკრავს ერთ ჩიკაგოს პურის-ვაჭართან და საფრანგეთის ჯარისათვის 2,500,000 მანათის პურის ყიდვა შეუკვეთნია.

— ფრეისინეს უთქვამს, რომ თუ გენერალ ბულანჟეს სამზღვარ-გარეთის გაზეთები ჰკიცხავენ, ეგ იმასა ჰნიშნავს, რომ გენერალი ბულანჟე თავის სამშობლოს ერთგული მამულის-შვილია და სინიდისიერად ასრულებს თანამდებობას სამხედრო მინისტრისასაო.

* * *

„ხარების ჭიდაობა“ პარიჟში.

ამ დღეებში პარიჟში გამართული იყო „ხარების ჭიდაობა“. „ხარების ჭიდაობა“ მუდმივი და საყვარელი შექცევაა ისპანიელებისა, პარიჟელებისათვის კი ეს პირველი ნახვა იყო. პარიჟელებს ახალი რამ კი აჩვენეთ,— და ომის ამბავიც დაავიწყდებათ და ყველაფერიც. მართლაც და მთელმა პარიჟმა თურმე თავი მოიყარა ამ უცნაურ ჭიდაობის სანახავად. მოედანი, სადაც კაცი უნდა ხარს შესჭიდებოდა, ხალხით იყო მოჭედილი. აქ შეჰხედებოდით მინისტრებს, ელჩებს, დიდ-კაცებს, მანდილოსნებს, მდიდრად ჩაცმულ და მოპრანჭულ-მოკაზმულებს.

მოედნის შუა-გული სქელის ფიცრის კედლით იყო შემოღობებული ორ-პირად. ასე იმიტომ იყო მოწყობილი, რომ, თუ ვინიცობაა გააფთრებული ხარი ერთს ფიცრის-კედელზე გადახტებოდა, ვიწრო ადგილში ორ ფიცრულ-შუა მოემწყვდეოდა და ველარ სად წავიდოდა.

დაუკრეს სამხედრო მუსიკა. ხალხმა ხმა გაიკმინდა. ყველა მოუთმენლად ელს ამ უცნაურ სანახავის დაწყობას. აი ჯერ გამოვიდნენ ცხენოსნები მდიდარ და ფერად ტანისამოსით მორთულნი; აგერ ამათ უკან მოჰყვა ახალგაზდა მოსულის ტანის და ლამაზის სახის კაცი. ეს გახლავთ „ტორეადორი“. ე. ი. ხართან მოჭიდავე ფალავანი, სახელად ლე-პული. ლე პული დინჯად და თავ-მომწონედ გამოდის შუა-მეიდანზე, ტანზედ ასხია ოქროთ და ვერცხლით ნაკერი მწვანე ხავერდის გძელი წამოსასხმელი და წამოსასხმელის ერთი ბოლო კოხტად მხარზე აქვს გადაგდებული. ლე-პული გამოჩენილი ფალავანია. მეტადრე დიდი სახელი გაითქვა იმის შემდეგ, რაც ამერიკაში პირველი ისპანიელი „ტორეადორი“ დაამარცხა.

ცხენოსნები ისევ გავიდნენ მეიდნიდამ. მეიდანი დაცარიელდა, დარჩა მარტო „ტორეადორი“ ლე-პული. აგერ დაჰკრეს საყვირი, და მოედანზე ერთბაშად გამოხტა პატარა, მკვრივად ჩასხმული, ღონიერი შავი ხარი და გახელებული თვალებს საშინლად აბრიალებს. «ტორეადორი» ლე-პული შორს გადგა გამოვიდა იმის თანაშემწე, წითელის წამოსასხმელით. მივიდა, ხარს თვალებ წინ აუფრიალა წითელი წამოსასხმელი და ისეც გაშმაგებული ხარი უფრო გააშმაგა და გააცეცხლა; და აი გაბრაზებული ხარი აფთარივით გადახტა და „ტორეადორ“ ლე-პულის ეცალე-პულიმ წარბიც არ შეიხარა, ისე უშიშრად დაუხვდა ამგააფთრებულ, გამგელებულს ხარს. ხარმა რამდენჯერმე მიიწია, მაგრამ ლე-პული რაღაც უცნაურის ხერხით და ქმანდით ხარს უცბად მოიგერიებდა ხოლმე ხარი სრუ-

---

IV

მჯობს მჯობი არ დაელევაო, ნათქვამია: იერონიმეს თავის ხელობაში მოცილენი აღმოუჩნდნენ, სხვა უკეთესები გამოვიდნენ ასპარეზზე და უკან ჩამოანარჩუნეს, ჩრდილში დააყენეს: იერონიმე ძალა-უნებურად დაემორჩილა თავის სვე-ბედსა. იქნება კიდევაც გაჰსჯიუტებიყო ცხოვრების ტალღათა ღელვას, მაგრამ ერთმა გარემოებამ სულ ბოლო მოჰკვეთა მის ფიქრებსა. რაღაც ეშმაკად ერთხელ ერთს ყრილობაზე მოჰყვა; გაცხარებული ბაასი იყო სწავლის საჭიროებაზე. სწავლის საჭიროებას ვინ არა გრძნობს, ვის არ ესმის ამ ჩვენს დროში? ყველა სიხარულით მიეგება ამ აზრსა და უხვად ჩაყიდნენ ფულსა. თუმცა ნაღდი არავის დაუთვლია, მაგრამ ესეც დიდი ვაჟ-კაცობა იყო. იერონიმე ბრაზმა და ნაღველმა დაარჩო, წამოდგა და საზოგადოებას გაუმკლავდა, იამ მხარი დაუჭირა და ამას კიდევ რამდენიმენი მიჰყვნენ. „სულ ამ სწავლამ დაღუპა ქვეყნიერებაო“, გაიძახოდა იერონიმე თავის დამქაშებით. მოისმა დარბაზში საშინელი ხმა: «შშ»! იერონიმემ იჭკუა და დამქაშებით თურმე დარბაზის მეორე კარებიდამ გაძვრა.

— „და ივლტოდნენ სირცხვილეულ ურიანი იგი“, ხმა მაღლა მიაძახეს დარბაზიდამ იერონიმესა.

ამ მარცხს კიდევ როგორც იქნებოდა მოინელებდა, მაგრამ არ აკმარეს. გავიდა ორი კვირა მას შემდეგ, რაც იერონიმეს გული მოუკლეს. ერთხელ ჩვეულებრივად ბუხართან ისხდნენ იერონიმე და სალომე და ბატიბუტს შექცეოდნენ; დედა-კატუნა კნეინა სალომეს მხარზე შესკდომოდა, თვალებს ჰკრუტავდა და ხრუტუნებდა. ამ დროს შემოაღო კარი იერონიმეს მეგობარმა და ნათესავმა იამ და თ-ველში მოგანგლული შემოვიდა. იერონიმეს ერთით იამა, მაგრამ გულმა რაღაც უთხრა, რაღაც ამოჰკვნესა.

— რად გარჯილხარ ამისთანა ზამთარში? მიახალა იერონიმემ სიტყვა, მიატოვა ბუხარი, ფეხები ფლოსტებში წადგა და ახალუხის სწორებით მიეგება მეგობარსა.

— ვერავერი მახარობელი ვარ. ამას წინად კრებაზე ხომ დავმარცხდით და დავმარცხდით, ჰო? ის არ გვაკმარეს, აგერ გაზეთშიაც გამოუჰქიმივართ... მე შენთან საჩხუბრად მოვედი. არა, შე დალოცვილის-შვილო, ჩვენი რომ აღარა გადის-რა, რას აგიჟინია და აღარ იშლი. შენის გულისათვის მე თავზე ლაფი დამასხეს; ხალხში თავი აღარ გამომეყოფა. გაზეთში ჩაგდებასა გიროზგვა სჯობიან. გაგროზგვენ, დაგავიწყდება, ტკივილი მალე დაგიყუჩდება; გაზეთი კი მუდამა გწვავს თვალებსა... ეჰე—ჰე!...

— რა მოხდა, რა? ნეტავი თქვენაცა, ქა, რომ ქვეყნის რახუნს ყურს ათხოვებთ ხოლმე; ვინც რა უნდა სთქვას, წისქვილმა კი ჰფქვასო, ჩაერია სალომე ლაპარაკში და თან ბატი-ბუტის ჭამას თავი არ დაანება.

იერონიმემ ჯიბეს ხელი გაიკრა, სათვალეები ამოაცოცა, თვალებზე წამოიცვა და გაზეთს ჩააცქერდა.

— მაჩვე, ერთი წავიკითხო.

— უკაცრავად, ნუ სწუხდები, მე უკვე წავიკითხავ, თვალი მაქვს გატეხილი. რაც ჩემზეა იმასაც წავიკითხავ და რაც შენზეა—იმასაცა.

იამ გაზეთი გაშალა; იერონიმე სათვალეებით მიუჯდა და აყოლებდა თვალებსა.

— აი ყური დამიგდე, დაიწყო იამა: „თავადი იერონიმე ერთობ გაჯიუტდა და აიხირა, რომ სწავლამ ქვეყნიერება ამოაგდოვო და ამიტომ ფულს არ გაიღებთ იმისათვისაო. გნებავთ, მკითხველო, გაგაცნოთ სახე ამ გმირისა? ინებეთო: იგი გმირი გახლავთ მოხუცი, მაგრამ ჩასუქებული, როგორც ხატის კურატი, შელებილი თმაულვაში; შესაყარად თითქო ტკბილია, მაგრამ გოზინაყივით მავნებელია; გულზე „პრიაშკა“ აკრავს და „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზე ჰკიდია“. ყოველთვის და ყოველს ჟამს წინააღმდეგია კეთილის დაწყობილობისა. დიაღ, წამოვარდა ეს აშმორებული, ხავს მოკიდებული ჰურჭელი და ამოაქცია მყრალი წყალი, რომელიც მასვე შეასვეს. მართლად უთქვამს რუსთაველსაო:

„კოკასა შიგან რაც სდგა,
იგივე წარმოსდინდება.“

თავადმა იერონიმემ თითქო ეხტიბარი არ გაიტეხა, ხელებს იფშვნეტდა, შეღებილს ულვაშებს იწმაწნიდა. ეს ის იერონიმე გახლავთ, რომლის ენა არა ერთხელ დატრიალებულა როგორც ჯარა მოყვასის მოსაკლავადაო.“

„წამოდგა,—ახლა ჩემზე ვიწყობ,— შემდეგ იერონიმესი მეორე სუნნელების ჰურჭელი, მსგავსი პირველისა, მოჰყვა ტუჩების ცმაცუნს და ჰქვავსა. ვერ გაუვიდათ ფაფხური; ჩუმად აიღეს ქუდები და გამოიპარნენ. წადით, თქვე არა-კაცებო, წადით,— მიაყვირა ხალხმა,—რა თქვენი საქმეა იქ ყოფნა, სადაც კეთილს საქმეზეა ლაპარაკიო...“

— წადი, ჩემო იერონიმე, და ახლა ირიკავე! თავი აღარ გამოგვეყოფა ხალხში, თავი.

იერონიმე გაშრა; ამას კი აღარ მოელოდა; თვალებს ცოფ-მორეულისავით აქედ-იქით აცეცებდა; ქვედა ყბა აუკანკალდა, თითქო ჩამოუვარდა და დაელმიჯა.

სწორედ სიბერის ჟამს ჰკუაზედ შესცდებოდა, რომ სალომე არა ჰყოლიყო, რომელმაც, როგორც იყო, გამოატრიალა სააქაოსკენა, და ის დედა-კატუნა, რომელიც სალომეზე არა-ნაკლებად ართობდა.

ის იყო და ისა, კატამ შეჭამა ძეხვიო, ამოიკვეთა ფეხიო: ჩაჯდა იერონიმე სახლში, კარზე ცხვირს აღარა ჰყოფდა და სამუდამოდ დაჰკარა ფარ-ხმალი.

ს. მგალობლიშვილი

ლიად გაშმაგდა და ერთი ძალიან კიდევ მიიწია ლე-პულზე. ხალხში უის ხმა მოისმა ყველას ეგონა, რომ გაგიჟებული ხარი ეს არის ფეხ ქვეშ გაიგდებს და რქებზე აიგებს საწყალს ლე-პულესაო. მაგრამ ლე-პულე მარდად გაუსხლტა და ზედ გადაახტა ხარს საწყალი ხარი, შერცხვენილი და გულ-მოსული შორს გადგა, ღმუოდა, ფეხებით მიწასა სთხრიდა და საზარლად აბლვრიალებდა თვალებსა ბოლოს ბრიალა თვალი გადაავლო ხალხსა, უცბად იშვირა ფეხი და გადაეშვა ფიცრულზე ხალხმა იკადრა, ლაიძრა ადგილიდამ ჩოჩქოლი შექმნა, მაგრამ ისევ ჩქარა დაწყნარდა: ხარი ორ ფიცრულ-შუა მოემწყვდა და ველარ გაინძრა. თითქმის ნახევრად დამარცხებული ხარი ისევ გამოიყვანეს შუა მეიდანზე. ერთხელ კიდევა სცადა თავისი ძალა უფრო გაბრაზებულმა ხარმა, მრისხანედ და გულ-მოსულად შეუტია ლე-პულის და უნდოდა რქებზე ეეგო, მაგრამ ლე-პული არც ეხლა შეუშინდა, მარდად გაუხტა გვერდზე, როგორღაც ხერხიანად მოუარა და თვალის დახამხამების უმალ რქებ-შუა ხმალი გაუჯვარედინა და გაჰედა. საშინელი გრიალი და ტაშის კვრა მოისმა. ლე-პულემ დაიმორჩილა ხარი და გაიმარჯვა: რქებ-შუა ხმალის გაჰედა და ხარის ეგრე შეკავება გამარჯვებაა.

გამოუშვეს მეორე ხარი. ლე-პულე შუაში იდგა და ხალხს თავს უკრავდა. მეორე ხარმა მიიხედ-მოიხედა, დაინახა, რომ დამარცხებული შავი ხარი მოედნიდამ გადის, დაეწია და ისიც იმას აედევნა: თავის მოძმე რომ დამარცხებული ნახა, მეორე ხარმა ველარ გაჰბედა შესჭიდებოდა ძლევა-მოსილს და გამარჯვებულს ლე-პულეს.

ასე მშვიდობიანად გათავდა ეს ახირებული ბრძოლა ადამიანსა და პირუტყვს შუა. ეს ძალიან იშვიათია, რომ საქმე ასე უსისხლოდ გათავდეს. უფრო ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ან გაშმაგებული ხარი რქებზე ააგებს ადამიანსა, ან კიდევ გამხეცებული ადამიანი ხანჯლით გამოჰფაშვავს ხოლმე საბრალო პირუტყვსა. და აი ამ გვარ საზარელის სანახავებით სტკბებიან განათლებული ევროპიელები და ტაშს უკვრენ სუსტნი, გულ-ჩვილნი ქმნილებანი, რომელთაც ქალებს უწოდებენ.

გასართობი

ფილიპე II-ს, ესპანიის მეფეს, ჩვეულებადა ჰქონდა თავის ხელით ეწერა წერილები და ხან-და-ხან ამ გვარ მუშაობით მთელს ღამეებს თეთრად ათენებდა ხოლმე. მეფეს გვერდზედ უჯდა თავისი მდივანი, ბეჭდავდა წერილებს და ზედ ადრესს აწერდა ხოლმე დანიშნულებისამებრ. ერთ ამ გვარ მუშაობის გათავების შემდეგ ფილიპემ მიაწოდა ერთი წერილი თავის მდივანს, რომლისათვისაც ძილს თვალები წაერთმია, და უთხრა, ზედ სილა დააყარეო. მდივანმა სილის მაგივრად, შეცთომით, აილო მელანი, გადუშვა წერილზედ და მთელი დამზადებული წერილები სულ ერთიანად გათითხნა. ფილიპემ შეხედა წამხდარ წერილებს, მიუბრუნდა მდივანს და წყნარად უთხრა:

— აგერ სასილე და აი საწერელიო! მობრუნდა და ისევ წყნარად დაიწყო წერილების წერა.

* *

იაპონიის სალათა. დუმას უკანასკნელ კომედიაში („Francillon“) ერთი მომქმედი პირი სხვათა შორის იაპონიის სალათაზედაც ლაპარაკობს და იმასაც ამბობს, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს სალათა. წარმოდგენაში დამსწრე ქალებს მეორე დღეს მოუნდომებიათ ამ სალათის გაკეთება, მაგრამ ვერ გაუკეთებიათ, რადგანაც პიესაში ცხადად არ არის ნათქვამი, როგორ უნდა გაკეთდესო. საწყალს დუმას, ამ პიესის დამწერს, ყოველ დღე მოსვენება აქვს წართმეული იმდენი წერილები მოსდის თურმე დიასახლისებისა და მზარეულ-ქალებისაგან და სთხოვენ, რომ კარგად აგვიხსენით, როგორ უნდა გავაკეთოთ ეგ სალათაო. სხვათა შორის გამოჩენილ მწერალთან მისულა პრეზიდენტ გრევის უფროსი მზარეული-ქალი და სალათის გაკეთების სწავლება უთხოვნია. დიუმას უსწავლებია, მაგრამ ამ მზარეულ-ქალს ვერა გაუგია-რა, როგორც ეტყობა, რადგან წასვლის დროს უთქვამს: „თუ თქვენის პიესის მომქმედ პირთ არა ესმით-რა სამზარეულო საქმისა, ისევ ისე ურჩევნიათ, რომ დაჩუმდნენ და არა ილაპარაკონ-რა ამ საგანზეო“.

* *

ნიუ-ორკის ახალ-გაზდა გათქმული მომღერალი-ქალი მარიანნა ბრანდტი მისულა ფოსტის კონტორაში ამანათის მისაღებად, რომელიც მოჰსვლოდა ბერლინიდგან თავის მეგობარ ქალისაგან. ფოსტის მოხელემ მომღერალ ქალს მოსთხოვა რაიმე დასამტკიცებელი საბუთი, რომ მარიანნა ბრანდტი მართლა თქვენა ხართო. მომღერალმა ქალმა ვერა წარუდგინა-რა. «მაშ ვერ მოგცემთო, უთხრა მოხელემ, ყველა ქალს შეუძლიან სთქვას, მარიანნა ბრანდტი ვარო». „თქმა ყველას შეუძლიანო, უპასუხა ქალმა, მაგრამ დამტკიცებით კი ყველა ვერ დაამტკიცებს. მაშ ყური დამიგდეთ, მე ვიმღერებო“, და დაიწყო ქალმა სიმღერა. მოხელე ალტაცებით უსმენდა, დანარჩენ მოხელეთაც საქმეს თავი დაანებეს და სმენად გადიქცნენ. „ეხლა კი მჯერა, რომ მარიანნა ბრანდტი ხართო“, სთქვა მოხელემ და მისცა ამანათი.

დეპეშა

27 იანვარი

პეტერბურგი. სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი გაშანდო დანიშნულია ამავე დეპარტამენტის დირექტორად.

გაზეთი „Новое Время“ გვაუწყებს: კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ ზოგი ერთი საქმეები სასამართლოში საჯაროდ არ იყოს გარჩეული და საქვეყნოდ გამოაშკარავებული, ხელმეორედ განსაჯულ იქმნა სჯულის მდებელ შეერთებულ დეპარტამენტთაგან, დაუბრუნდა უკანვე იუსტიციის სამინისტროს, რომელმაც დაადგინა: იმ შემთხვევაში, როდესაც სამინისტრო საჭიროდ დაინახავს, რომ ზოგიერთი საქმეები საჭიროდ არ იყოს გარჩეულიო, სამინისტრომ უნდა თავისი აზრი წარუდგინოს სენატის 1-ლ კასაციონის დეპარტამენტის შეერთებულ კრებასა.

ბერლინი. სხვა-და-სხვა საზოგადოებამ სურვილი გამოაცხადა: რადგან 90 წლის მოხუცებული იმპერატორი ვილჰელმი თავის დაბადების დღეს დღესასწაულობს, ამიტომ ჩვენ, ერთგულ ქვეშევრდომთ, გვსურს გულითადი სიხარული გამოვუცხადოთ და პირდაპირ მივულოცოთ იმპერატორს. საიმპერიო ბმანებაში ამის გამო გამოცხადებილი იყო: რადგან იმპერატორს დასვენება საჭიროა, ამიტომ იძულებულია უარი ჰყოს ამ გვარ მილოცვას.

რომი. ზღვათა საქმის მინისტრმა იტალიის ხომალდის კომანდირისაგან მოსოვიდამ შემდეგი მოხსენება მიიღო 10—22 იანვრიდამ: «რას-ალულა, ბორკილში ჩაჭედილ სალიმბენის პირით, თხოულობს იტალიის ჯარების მთავარ-სარდლისაგან: იტალიელებს შეგიძლიან მასოვა გეპყროთ და დანარჩენთ სიმაგრეებს კი უნდა თავი დაანებოთო. სალიმბენი გთხოვს, უთუოდ ავასრულოთ რას ალულას სურვილი, რადგან, თუ ამას არ ვიზამთ, სალიმბენს მოკვლას უპირებენ.“ გენერალმა ამაზედ უპასუხა: რას-ალულას სურვილის ასრულება შეუძლოდ არ მიმაჩნია, სიმაგრეებს ვერ დავუთმობთ, რადგან სიმაგრეები ფარგანების დასაცვავადა გვაქვს; აბისინელების მუქარას კი მე მალას წავუყენებ წინ.

ბერლინი. ფელდმარშალმა მოლტკემ კონსერვატების დასის საარჩევანო კაბინეტს გამოუცხადა, რომ პოლიტიკის საქმე დღეს დიდად დასაფიქრებელიაო.

ბუქარესტი. ტყუილი გამოდგა ის ამბავი, ვითომ რუმინიის მთავრობას დეეპატიმრებინოს ბენდეროვი და ბოლგარიის სხვა აფიცრები, რომელნიც აქ სცხოვრობდნენ.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწა დია ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

იანვარი 31 დღით არის

28 დღე ოთხშაბათი. ღირსისა ეფრემ ასურისა; კათოლ. კირილლესი, ფლავიანისა და კარლოსი. ჭეშმარიტი შუა-დღე—12—14; ტფილისში მზე ამოდის 7—4, ჩადის 5—25; მთვარე ამოდის 7—18 სთ.

29 დღე ხუთშაბათი. წმ. მოწ. ეგნატე ღმერთ-შემოსილისა, ღირს. ლავრენტისა და რომანოზისა. კათოლიკეთა. ფრანცისკასი, გერასიმიასი და კოსტანტინესი. სომეხ. მე-4 დღე არჩავორაცის მარხვისა. მუსულმან. მე-18 დღე ჯემანდ-ულ-ევველის თვისა, 1304 წ. ჰეჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14, ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 5—26. მთვარე 17 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი
ნიხრი

16 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

თეთრი პური რუსული 1 გრ	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
» 2 »	2½ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 »
» » 2—	3½ »
» » 3 »	3 »
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 »
მე-2 ხარისხისა . .	4 »
მე-3 — . .	3½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 »
» 2 »	7 »
სუკი. . . .	14 »
ცხვრის ხორცი . . .	8 »
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	7 »
» 2 »	6 »

განცხადებანი

ახალი წიგნი
(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—33)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1887 Г. НА „БИРЖЕВЫЯ ВѢДОМОСТИ“

Большую ежедневную газету политики, финансовъ, торговли и общественной жизни.

Открывая подписку на новый 1887 годъ, мы съ полнымъ основаніемъ можемъ указать на то громадное развитіе, которому подверглисъ въ текущемъ году всѣ отдѣлы газеты, вступающей въ XI годъ своего существованія.

Если въ первые семь лѣтъ газета съумѣла постепенно преобразиться изъ еженедѣльнаго спеціальнаго финансоваго журнала въ большую ежедневную политическую, общественную и литературную газету, при этомъ не только сохраняя, но расширяя и пополняя съ каждымъ годомъ все больше и больше свои спеціальные финансовый, биржевой и торговый отдѣлы, составляющіе по прежнему основу и главный пунктъ опоры газеты, то этимъ „Биржевыя Вѣдомости“ доказали не только крупную пользу своего изданія, но что изданіе не останавливается на полпути, что оно растетъ и не перестаетъ идти впередъ съ каждымъ годомъ, будучи поддерживаемо нравственной связью, выработавшейся въ силу опыта лѣтъ между читателемъ и редакціею.

Приступая нынѣ къ открытію подписки на „Биржевыя Вѣдомости“ на будущій годъ мы ограничимся указаніемъ того, что сдѣлано нами въ текущемъ году для пополненія и дальнѣйшаго расширенія нашей газеты.

I Въ политическомъ отдѣлѣ: введена ночная работа, благодаря которой свѣдѣнія, появляющіяся въ „Биржевыхъ Вѣдомостяхъ“ въ видѣ „вопросовъ дня“ настолько свѣжія и объясняющія данное положеніе минуты, что онѣ выдерживаютъ смѣло сравненіе съ такъ называемыми спеціальными телеграммами нѣкоторыхъ газетъ.

II. Введены ежедневныя бесѣды съ читателемъ по вопросамъ общественнымъ, литературнымъ, житейскимъ, уголовнымъ. Первая изъ нихъ: „Вчера, сегодня, завтра“ болѣе серьезная; вторая: „картинки и наброски“, скорѣе съ юмористическимъ оттѣнкомъ. Источникомъ для очерковъ служитъ и здѣсь и тамъ исключительно русская жизнь

III. хроника расширена включеніемъ въ ея составъ, сверхъ петербургскихъ и административныхъ извѣстій, также и сообщеній о происшествіяхъ, курьезахъ и случаяхъ, мѣстомъ которыхъ является Москва или провинція. Отдѣлъ этотъ ведется живо и полно.

IV. Сверхъ внутреннихъ корреспонденцій, которыя получаются теперь редакціей изъ большинства городовъ Россіи, введены во главѣ внутренняго отдѣла „Биржевыхъ Вѣдомостей“, — ежедневные провинціальные очерки, въ которыхъ группируются частію въ серьезной, частію въ фельетонной формѣ. всѣ явленія провинціальной жизни, по губерніямъ и областямъ, такъ что получается не только полная картина народной и общественной дѣятельности въ той или въ другой части края, но и вѣрная и поучительная картина всего того, что дѣлается въ Россіи.

Введя у себя ежедневные провинціальные очерки, „Биржевыя Вѣдомости“ исходили изъ той точки зрѣнія, что онѣ этимъ путемъ создадутъ новую, еще болѣе крѣпкую, связь между редакціей и читателемъ въ провинціи, имѣющимъ полное право требовать, чтобы газета не ограничивалась разработываніемъ однихъ только столичныхъ вопросовъ, но удѣляла соотвѣтственное мѣсто и провинціи.

V. Фельетоны газеты разнообразны. Сверхъ еженедѣльнаго воскреснаго, литературнаго и театральнаго фельетоновъ, помѣщаются лучшіе романы русскихъ и заграничныхъ авторовъ. Въ Январѣ будущаго года приступимъ къ печатанію капитальнаго произведенія

„КУРСИСТКА“

романа въ 2-хъ частяхъ изъ жизни недавняго прошлаго. Романъ этотъ, представляющій собою высоко-художественное произведеніе, уже вполнѣ законченъ и находится въ портфелѣ редакціи. Его громадный успѣхъ среди читателей несомнѣненъ.

Желая предоставить каждому возможность познакомиться поближе съ изданіемъ „Биржевыхъ Вѣдомостей“, контора редакціи изъявляетъ согласіе принимать въ Ноябрѣ и Декабрѣ въ видѣ исключенія подписку на одно недѣлю. Приславшему въ контору 50 к. деньгами или почтовыми марками, газета будетъ высылаться наравнѣ съ другими подписчиками въ теченіе 7 дней не подъ марками, а непосредственной почтовой отправкой.

подписывающіеся же на газету на весь 1887 г. и адресующія деньги прямо въ контору „Биржевыхъ Вѣдомостей“ пользуются правомъ полученія газеты безплатно въ остающееся еще время 1886 года.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА ВЪ РОССІИ:

Съ доставкою и пересылкою:	р.	к.
На годъ	15	—
— 11 мѣсяцевъ	14	—
— 10	13	—
— 9	12	—
— 8	11	—
— 7	10	—
— 6	9	—
— 5	8	—
— 4	7	—
— 3	5	50
— 2	4	—
— 1	2	—

ПОДПИСНАЯ ЦѢНА ЗА ГРАНИЦУ:

	р.	к.
На годъ	22	—
— 6 мѣсяцевъ	13	—
— 3	8	—
— 1	3	—

ПУБЛИКАЦІИ
Въ „биржевыхъ вѣдомостяхъ“
получаютъ самое широкое распространеніе въ состоятельныхъ слояхъ общества и по этому особенно полезны въ тѣхъ случаяхъ, гдѣ имѣется въ виду заинтересовать въ публикаціи лица, обладающія хорошими денежными средствами.

Подписка принимается на всѣ сроки не иначе, какъ съ 1-го числа каждаго мѣсяца, въ С.-Петербургѣ: въ конторѣ редакціи, Б. Морская, 31, рядомъ съ Яхтъ-Клубомъ. (3—2)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1887 годъ
НА ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ
„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“
(IV годъ изданія)

Выходитъ ежедневчо, въ ТИФЛИСѢ, подъ редакціей А.В. Степанова. ПОДПИСНАЯ ЦѢНА: за годъ 10 р., за полгода 6 р., за 3 мѣсяца 3 р. 50 к. и за мѣсяцъ 1 р. 50 к.

Подписка принимается и гг. иногородные адресуются: *Тифлисъ, контора редакціи „Новое Обозрѣнія“, Головинскій проспектъ, домъ № 7.* (3—3)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
На ежедневную литературно-политическую газету
„КАВКАЗЪ“.

Въ 1887 году газета „Кавказъ“ будетъ выходить подъ прежнею редакціею и по прежней программѣ, ежедневно, не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:
СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ:

Съ доставкою въ Тифлисъ.	По Имперіи.	По почтовому союзу.
На годъ . . 11 р. 50 к.	На годъ . . 13 р. — к.	На годъ . . . 18 р. 40 к
„ ½ . . 6 „ — „	„ ½ года . 7 „ — „	„ ½ года, . 10 р. — ,
„ 3 мѣсяца 3 „ 50 „	„ 3 мѣсяца . 4 „ — „	„ 3 мѣсяца. 6 „ — „
„ 1 мѣсяцъ 1 „ 50 „	„ 1 мѣсяцъ. 1 „ 75 „	„ 1 мѣсяцъ. 2 „ — „

Подписка принимается **исключительно въ конторѣ редакціи, Тифлисъ,** уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы, домъ Ротинова. Для иногородныхъ адресовать: **Тифлисъ,** въ редакцію газеты „Кавказъ“. (7—5)

Дозв. ценз. Тиф. 27 января, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე